მილახვროს, ამავე დროს კი საქართველოში მრავალი მეცე გამოიცალა / უმთა  
ფითარების გამო.

თავის განზრახვის განსახორციელებლად ორაკლიმ ფარულად თავის საუკუ-  
თარ ქახელთა ჯარს მოუყარა თავი ტფილისში, თავისი მოკეთებული მიმართული  
კითომდრა გასამასპინძლებლად, ხოლო ქალაქის ყოველ კარიბჭესთვის ას-მინ გუ-  
შავი დააყენა, რაიცა არც წინათ მომხდარი არასოდეს, არც შემდევ; ეს ლო-  
ნისძიება იმისთვის მიიღო, რომ ჩვენ ქალაქიდან ვერ გამოისულიყავით, რაიცა  
ჩეკითების ისედაც შეუძლებელი იყო, ვინაიდნ, მამაჩრემი სიკედილის პირის იყო,  
ჩვენ კი მცირეწლოვენი ვიყავით. ხოლო ჯარი თან არ გვაზღდა: მამაჩრემი არა-  
ეკითარ სატრანსპორტო არ ელოდა და თავისი ყმები დაითხოვა, მხოლოდ რამდენიმე  
მსახური დაიტოვა, რომელნიც აუცილებლად საჭირონი იყვნენ მისთვის.

ამ სამზარისის შემდეგ ურეკლე მეცე შეუდგა მიზეზის ძებნას თავისი ბო-  
როტი განზრახვის შესახულებლად: ჩემი ძმა სასახლეში აღარ შეუშვა ცოლ-  
თან ღამის გასათვადი, მამაჩრემის კი შემოუთვალა, აღარ მსურს შენი დამოუკრე-  
ბარ; ვითომდა მის თექქმეტი წლის დას შეეჩილა, შეკლი არ მიჩნდება შეჩის  
მამაკაცური უძლეურების გამოთ: ჩემი ძმა კი მაშინ მხოლოდ ჩეკმეტი წლისა  
იყო. თავისივე დის პატივის შეურაცხმულფელი წერილი მან მისწერა ავრეთვე  
საქართველოს პატრიარქს, რათა მას ნება დაერთო მისი განქორწინებისა და  
სხვა ქმარზე გათხოვებისთვის.

შეგრძამ ყოველივე ეს უსამართლობა იყო და ერეკლემ იკოდა, რომ ამით  
ჩვენ შეგვარუხებდა, ჩვენ არ დაუკამბირდით და წინააღმდეგობას გაუწევდით  
როგორიც უკანონო მეფეს; თოითაც — უნდა აღიაროს, რომ ვერ ბედავს ვერა-  
ვის შეურაცხმულფას ან გასამართლებას. ყოველივე ასეთს საქმეს ივაზაკურად  
ჩადის და ისიც ღამით თავისი თანაგანმიზრახელების დამარებით. შემდეგ ამ  
უკანასკნელთ ნაძარეცს უნაწილებს. პატრიარქმა ირაკლის თხოვნას ხელი მო-  
აწერა განსუჯელად, ჩემი ძმის მამაკაცური უძლეურება დაადასტურა ცოლის  
განცხადების მიხედვით და მათი განქორწინების ნება დართო, აქო და, ეს ქორ-  
წინება ისედაც მოკლებული იყო ღვთის მაღლას, რადგანაც ქალ-ვაეკ მცირე-  
წლოვანნი იყვნენ, როცა ჯვარი დაიწერეს: ამიტომ ღვთის შიერ მონიქებული  
ძალაუფლებით ვარღვევ შეთ ცოლქმრობას. ეს განაჩენი მამაჩრემს ოთხმა კაც-  
მა მოუტანა, მათში თრი საერთო იყო, მეტის მდივანბეგები და თრიც სასულიე-  
რო, არქიმინდრიტები. როცა ლოგინში მწოდილი მამაჩრემა ეს განაჩენი წაი-  
კოთხა, სიცილი დაიწყო: — განა ღიღი ხანია თქვენმა პატრიარქმა ეს ძალაუფ-  
ლება მიიღო, რომ ღვთის მიერ შეულებულ ქალ-ვაეს სთიშავს და განა თვით  
არ სკდილობდა ჩემი მცირეწლოვანი შევილის დაქორწინებას, თუმცა მე წინააღ-  
მდევი ვიყავი? თუ ყოველივე ეს ანგარების გავლენით ხდება? ახლა მე მყიდინ  
ვერცხლიშვ, ახლა დრო მისხელთხ და მომაკედავს თავს მესხმიან ამ ქვეყნიური  
თავადნი და მსაჯულნი. — ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ამოიოხრა, კედლი-  
საკენ იბრუნა პირი და ჩაილაპარაკა: — ეს უბედურება ჩემს თავს მეცე ვეყივი,  
რადგან ვერაგ აღამიანებს ვერწმუნე, მაგრამ არა უშავს რა, თეოთვე ვიძიობ  
შერს ჩემი შეურაცხმულისთვის, თუ დამცალდა და არ მოვკედიო.

ამ პასუხით გაბრუნდენ მოციქულები, რომელთაც იკოდენ, რომ მეცე ში-  
ზეზის ეძებდა ჩვენზე თავსდასასხმელად. გადასცეს მამაჩრემის შუქარა, გაატრა-  
ნილეს, რომ მართლაც სახითვათოა, თუ იგი ლოგინიდან ადგა.

იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა ვახტანგ მეფის უკანონო შეილი, ირაკლის დედის ძმა, პატარა ბატონიშვილი, რომელმაც შემთხვევა იმავარ და მამა-ჩემს გაუნდო, რომ მრავალი თავადი მემხრობა, მაგრამ შემარტინიშვილიად ერ გავმეფუდებით; მართლია, მამაჩემის უკანონო შეილი ქანი, შეტეხი საღვან დიდგვაროვანი თავადიშვილები ერთმანეთს გამეფების ნებას არ აძლევენ, ქართლის ტახტი უფრო მე შემეფერება, კიდრე არავართლელს, კვეყნისმრბეველს იჩარელისო. მამაჩემის უკანონია: თუ კოცხალი გადაერჩი, მე ვიცა როგორ გაუსწორდები ჩემს მტრისო. ტახტის მაძიებელმა უგურურება გამოიჩინა და ერთს თავის ნათესავ ახალგაზრდა კაცს სიხარულით უთხრა, რომ მიღლახვარმა დამარტის აღმოჩენა აღმითქვეა გაჯანსაღებისთანავერ; ამ ახალგაზრდა კაცია კი გაგონილი თავის მსახურს გადასცა, ამ უკანასკენელის კოლი ერეკლეს სასახლე-ში ცხოვრობდა როგორც მისი პატია ვაჟის ძიძა; ცოლმა ქმარს უჩინია, ყოველივე მეფეს აცნობები; მან მართლაც შეატყობინა ერეკლეს მეფეს, დიმიტრი ამილახვარი გამომრთელებას უცდის, რათა თქვენ წინააღმდეგ შეური იმისა და თქვენს ბიძას ხელი შეუწყოს გამეფებაშიო.

ერეკლე მეფე დიდად ნაისიმოვნი დარჩა ამ ცნობით, დამტეზლებელს მახარობელი ან უკანგველისტი უწოდა და თავის თანავანმშრაველთან ანტონ კათალიკოსთან წილვანა, პატრიარქად სახელწოდებულთან, რომელმაც იმ კაცს უთხრა: კურთხეულ არის მუცელი, რომელმაც შენ გშობაო.

ქედან თქვენ, ბატონნო მსმენელნო, ადგილად შეგიძლიან გაიკოთ, რაძლივი უნდა სრომოდათ ჩვენი დარბევა, რომ თვით მეფემ დამტეზლებელს უკანგველისტი უწოდა; ხოლო პატრიარქმა თავისი ხარისხი დაიკისტყა, იგი ქრისტეს შედარა და დიდად დასაჩინქრეს; ხოლო რა მოუკიდა შემდეგ ამ ახალი მოვლენილ უკანგველისტს, ამის შესახებ ქვემოთ ვკვეჩება ლაპარაკი.

ერეკლე, რომელიც ყოველთვის მშად იყო ჩვენ დასაჩინქრევად, დაუყონებლივ ჯერ თავის ბიძას დაესხა თავს და მცული მიუყენა მას, შემდეგ თავისი ბიძაშეილი (დედის მშრომი) დაპატიტირა: მათი დაპატიტირება ადგილი იყო, რაფ-გან არაფითარი ძალა არ გააჩინდათ წინააღმდეგობის გასწევად; მოემზადენ იმ ღამითვე ჩვენც დაგვესხმოდენ თავს და ერავობით თუ ძალით შევეპარით, როგორც ეტყობოდათ მაინც ეშინოდათ უმწეო და სიკედილის პირს მიმდგარი ადამიანისა.

ერთხელ ღამით ჩვენსას ხუთი თავადიშეილი მოვიდა მხედრებით: ჩვენ ის იყო ვიოზშემცი და სამივე ძმა დასაძინებლად წავედით, ხოლო მამა მის ღოთხში დატერვეთ; ახლად მოსულნი ჯერ წყნარად შემოსულიყვნენ, მამაჩემის პეტრებოდა, ჩვეულებრივი სტუმრები არიანო და ბრძანება გაეცა მათთვის ვახშემი მიეტანათ. მათ ეთქვათ, ჩვენ ვახშამი არ გვინდა, მეფის ბრძანებით თქვენთან საქმე გვაქვს მოსავეარებელით, შემდეგ ეკითხათ, სად არიან თქვენ ბავშვები. მამს ეთქვა დასაძინებლად წავიდენ. მაშინ ახლადმოსულებმა თავით მხედრობას უბრძანეს ალყა შემოეტყათ ჩვენი სახლისთვის, ხოლო თვით ისინა ჩვენი, ოთახებისკენ წამოვიდენ ჩვენ შესაჭყრობად.

მაგრამ მათ მოსელად ჩვენთან ჩემი იღმისრდელი შემოიტრა და მითხრა, არ შემინდეთ, მეფის გამოგზავნილი თავადიშეილები და მხედრობა მოვიდენ, მათ ალყა შემოარტყეს ჩვენს სახლს; ამის გაგონებაზე ერთ ჩემს ძმას უნ-

ცოდა თავლაში შევარდნილიყო, ცენტზე შემჯდარიყო და გაეცელებული მეტ-  
რამ მე გავამხნევე, ლაიცა, ჯერ გავიგოთ რა სურთ ჩვენგან მეტქ; რამდენიმე  
წუთის შემდეგ ის თავადები ჩვენთან შემოვიდენ, მოვვიალერქუმულურ უკანონო  
გავიმიგრეს, ნურაფრის გეშინიათო; მაშინვე მამაჩემის ოთახში ჩვენდინ, უც-  
როსი ძმა მას გვერდით დაუჯდა, ხოლო ჩვენ, უმცროსები ფეხზე დავდევით.  
მაშინ იხლადმოსულებმა მამაჩემს აცნობეს, თქვენი შეპრობა ნაბრძანებით.  
ამაზე მამაჩემმა უპასუხა, დიდიხანი დასწეულებული ყარ, ადვილია ჩემი  
შეპრობათ.

ამის შემდეგ შეუდეგ ჩვენი ქონების ჩაბარებას, და, უწინარეს ყოვლისა,  
კედლიდან მღილრულად მორთული თოფიარალი ჩამოიძეს; ცნობილია, რომ  
აზელების და განსაკუთრებით ქართველების სიმღილრე თოფიარალსა, საჭა-  
ულსა და ცენტრში მდგომარეობს. ჩვენ თვალშინ დაიწყეს ამ თოფიარალის  
მოჩერა: საქართველოში იმთავითე წესია, რომ როცა ვინმეს აპატიმრებენ,  
ტანისამოსი, თოფიარალი და ცენტრი იმას ეძლევა, ვისაც დაბატიმრება პეტრი  
დავალებული, ხოლო დანარჩენი ქონება მეფეს მიაქვეს. ამ უდიერმა ქცევამ ჩემ-  
და სამწუხაროდ ჩემში ისეთი ვაჟვაცობა გააღვიდა, რომელიც შეუდერებელია  
მცირეწლოვანთათვის; მე ძმებს მივუბრუნდი და ვუთხარი, ნუთუ უმჯობესი  
არაა დავხოცოთ, ეიდრე ასეთი შერქცხვენა ავიტანოთ მეტქი; მაშინვე ხელი ვიტა-  
ცე ხანჯალს, რომელიც ზედ მეყიდა, როცა იმ თავადიშეილებმა ჩემი სასოწარ-  
კეთილი გამხედვაობა დაინახეს, მოფერება და დაშოშინება დამიწყეს. მითხ-  
ჩეს, ნუ თუ თქვენ გვონიათ, რომ ეს თოფიარალი ჩვენთვის მიგვაქვს; მხოლოდ  
ეფშრო მეფის ბრძანებით, ჯერ არაუკრის დაგუფლებივართო; შეიძლება ყოვე-  
ლავე უკან დაგიბრუნონ. მამაჩემმაც დამიყერია: — ნუ თუ მარტო შენ პი-  
რებ წინააღმდეგობის გაწევისთ. ამის შემდეგ მე დაეწმეოდდი. მაგრამ ფარუ-  
ლად მეფეს კაცი გაუგზავნეს და აცნობეს, რომ მე ცდელავდი და წინააღმდე-  
გობას ეწეროდი, რომ ჩემი სითამარე ალბათ ჩვენი შეიარაღებული ყმების მოშ-  
ელების იმედით იყო გამოწყველი; მეფეს ეკითხებოდნ, როგორ მოვიტესო.  
მეფეს კრით თავადისა და ქრის ანაურისთვის ებრძანებია დაუყონებლივ აქ  
მომვევირთო. ჩემთვის სასიამოენ არ იყო ამ მოთხოვნილების შესრულება, მაგ-  
რამ იმ თავადიშეილებმა დამარტმუნეს, გულდამშეიდებით შევიძლია წახევიდე,  
მხოლოდ ხანჯალი აქ უნდა დატოვო, თორემ მეფე გაწერებათ. მე ხანჯალი ჩე-  
მი ხელით მოეცისენი, და მათ მივუგდე და ვუთხარი, თქვენ მეფის გულისწყრო-  
შა კი არა, ჩემი ხანჯლის დაპატრონება გაფიქრებთ მეტქი. მართლაც ასე იყო,  
ვინაიდან იმ თავადიშეილებს მაშინვე ჩესტი მოუვიდათ ჩემი ხანჯლის გულის-  
თვის; მაგრამ იგი ჩემს წისაუყანად მოსულს ერგო. ამის დამნახველს გულიც  
მომრიოდა და მეცინებოდა კიდეც მათი სიხარუბის გამო. შემდეგ მეფესთან წა-  
მიყვანეს, გზაზე მამშეიდებდენ, ნურაფრის გეშინიათ.

დარბაზში შესვლისთანავე მეფეს მიეცი სალამი ჩვეულებისამებრ. მან  
ყვირილი დამიწყე სა ბრძანა, რომ ჩემთვის ხელები შეეკრათ. მაშინვე ხელე-  
ბი შემიერეს ჩემიცე სარტყელით, ტოლომა გამხადეს და იქვე მეფეს თანადასწ-  
რებით ვიღაცას ფადასცეს, როცა წინათ არასოდეს არ მომშრარა საქართვე-  
ლოში, მხოლოდ მეფე ერეკლეს დროს ხდებოდა: მაგრამ ანდაზისა არ იყოს,  
როგორიც ერთი, ისეთი ბერიო.

ამის შემდეგ მეუკემ დაკითხვა დამიწყო მრისხანე, მხეცური სახლი (უნდა ითქვას, რომ მისი სახე არც მხიარულობის დროსაა მაინც და მარც სასიამოვნო), რათა ზოშით მეტი მეოქვა. — შენი ძმა მამაკაცობას მრჩქვენიშნობრივო და ამიტომ წავართვა ჩემი და; მაგრამ თქვენ რატომ ვინდოტაზ — ჩემი დაკლუკვა მთელი ჩემი ოჯახითორი?

გაფიცებით, ბატონი მსმენელებო, რომ არა თუ არ შემშინებია, სრულიად თავი დამავიწყულა და გაბეღულად კუპასუხე, ეს მართალი არაა, ჩემი ძმა სრულქმნილი მამაკაცია და არც თქვენი სიკყდილი სიღმებია ვისმეს მეოქვა. — მაც ას მიბირებდით, თუ არ მოკელასო. — თვით გაოცებდით, რაც გვინდოდა, მაგრამ არ დაგვაცადეთ, ახლა კი ძალა თქვენს ხელთაა და რაც გსურთ იმას გვიზაშთ მეოქვი თქვენი ტახტიდან ჩამოგდება მოუკლელადაც შეგვეძლო, თუ მამაჩემი ჯანმრთელად ყოფილიყო და ეს მოესურებებია, თვით თქვენ კარგად გახსოვთ როგორ გეძყრიბობოდენ წინაა მამაჩემი და ბიძაჩემი მეოქვა. მაგრამ მოვერებითა და ვერაცობით ხელში ჩაიგდე პატიოსანი აღამიანები, რაიცა მეუკე არ კადრება მეოქვა.

ამ ჩემმა უშიშარმა პასუხში ისე გაააფითხა, რომ იქვე უნდოდა ჩემი მოკვლა, მაგრამ იქ მყოფა მხედრებმა ამის ნება არ მისცეს, შეეძლებელია უწლოვანი კაცის ასე დასჭავა, თვით არ ესმის რას ლაპარაკობსო. მეუკე უპასუხა, ძნელია ასეთი თავქედი ჭაბუკის გამონახვაო. ამის შემდეგ მომთხოვა, წერილობით დაადასტურე, რომ მამაშენს ჩემი მოკელა და ჩემი იჯახის ამოწყვეტა უნდოდაო. ამაზე ვადაკრით უარი ცუთხარი, ეს მართალი არ არის მეოქვი. ბევრი მაწვალეს და თვითაც ვაწვალდენ იმ ღამეს, მოფერებასაც მიმართეს და დაშინებასაც, მაგრამ ვერ მიიღეს რაც სურდათ და მცველები მომიჩინეს. სანამ მეუკე ვაძშ-მოძა, იქვე დამსვეს ტალანში, მაგრამ მას ყელზე ლუკმა აღვებოდა, რადგან ჩეკენი სისხლის წყურელი სტანჯაედა. აქ რამდენიმე კაცი მომიგზავნა, მათ ალერისად მითხრეს, ცუდს არაფერს გიგმნენ, მხოლოდ ხელი მოაწერე, რომ მამაშენს მეფის მოკელა ჰქონდა განზრახულიო. მათ არაფერს კუპასუხებდი, ტალანში ვიჯევი და სიციისგან კანკალებდი, ვინაიდან ზამთარი იყო, ჩემი ტოლომა უკე სხეს ჰქონდა წამისსმული, მე კი მარტო ქაბა მეუკა და წელ-ზებსნილი ეყიდე; ხელები, როგორც ვთქვი, ჩემიც საჩრტულით მქონდა შეკრული. ერთი ახალგაზრდა აზნაური, რომელიც მე ძლიერ მიყეარდა ბედნიერ დღებში, ჩემთან მოვიდა და როცა ასეთ მდგომარეობაში დამინახა, თავისი ნაბადი მოიხ-სნა და მომახრეო. სულით და გულით სუშებდა ჩემთა ერთად და არ მომშორებია, სანამ იქ ვიჯევი. ხოლო, როცა მეფის ბრძანებით სახლიდან წაყვანა დამი-პირეს, მე მას გამოვემზოდებ და ცუთხარი: წაიღე, მმაო, შენი ნაბადი, რათა იგიც სხეს არ ჩაუგარდეს ხელში მეოქვა.

ჩემმა ზედამხედველებმა თავის ბინაზე წამიყვანეს, ვამშად დასხდენ და მეც მიმიპატიერეს. მე კუპასუხე, ახლა ძილის დროა და არა ეხშმობის მეოქვა. ვაბშის შემდეგ ხელფეხი შემიკრეს, მცველი მომიყენეს და დასაძინებლად დაწ-ვენ; თქვენ მიხედებით არა მშეიღდა გავატარებდი იმ ღამეს. მაგრამ იძდენათ ჩემს თავშე არ ვფიქრობდი, რამდენადაც მამასა და ძმებზე, რომელთა შესახებ არაფერი არ ვიკოდი.

მეორე დღეს დილით რეინის ბორკილები მოიტანეს და ფეხებსა და ცალ ხელზე დამაღეს, ისე რომ მხოლოდ მარტენა ხელი დამრჩა თავისუფალი. ამის 10. „მნათობა“, № 8.

შემდევ მოვიდეონ მეტის მიერ გამოგზავნილი თავადიშეიღები და ხან აღიყენითა  
და ხან მუქარით ხელისხმა ხელშერილი მომთხოვეს; მაგრამ ვერაცხა მიღებეს  
და ისევ მეფესთან დაბრუნდება; მას ებრძონა, აյ მომიუვანეოთ; ჩრდილოეთი ექს-  
ნის და წამიუკნენის; გაზარე ზემოხსნებული ახლადმოვლენილი ტესტისტებული შემ-  
ცდა, მას ქუჩა-ქუჩა ატარებდენ და გამვლელ-გამომეცველ კეთილშობილთ იძუ-  
ლებდენ და ესაჩუქრებიათ. მინდოდა თვალი მომერა, კინაღდან არასოდეს წი-  
ნათ არ მენახა და ეკრ ვიცნობდი, მაგრამ გარშემორტყმული იყო ხალხით და  
ეკრ დაგიზახე.

ამგვარად მიმიკეანეს მეფესთან, იქცე რკინის მარწუხები და მავთულები მოზიდეს ჩემს დასაშინებლად, ხოლო მე მათ შეა დამაყენეს. ამ სამარტვილო სანახაობის დანახვაზე მრავალი სეფე-ქალი ატრიტა ჩემი სიბრალულით; როცა მეფემ მის წინაშე დამდგარი დამინაბა, თეოთონაც თავისი აღდოლიდან წამოდგა, შემზარევი სახით მომიახლოედ და საშინელი ხმით დამიყენია: — მამაშენსა და ოქენეს აზნაურებს ჩემი მოსახობა უნდოდათ, შენ კი არ გასუნს ეს აღიარო! მე უკაბასუხე, რაც ვიცოდი ყოველიც გაცნობეთ, ხოლო რაც არ ვიცი, რა უნდა ვაღიარო მეთქა. ამ პასუხით გააფირებულმა მან ბრძანა გაეცემიშელები, ხელში მავთული აიღო, სხევებსაც თითო მავთული მისცა და დამიწურ ტატველ ტან-ზე ცემა. თუმცა ჩემი სხეული არ იყო შეჩერეული ასეთ მოპყრობას, მაგრამ რადგან თეთო მეფის ხელები დაბერენ, არც ტკიფილი უნდა მეგრძნო და არც ცრუე-ლები დამეღვარა. შევტედე და მოეხსენე, თავს ამიად იწუხებთ, ჩემი ვალდე-ბულებაა დაგვმორჩილოთ, მაგრამ თქმით ცერაფერს გეტვეით მეთქა. მისი გაგო-ნებაზე მეფე კადეც უფრო გაწყრა, მავთული გადაგდო და მარწუხი აიღო, რათა ჩემი სხეული დაწულებია. როცა ეს მეფისთვის შეუფერებელი ქცევა დავინახე, შევეცედრე: მეც შემიბრალეთ და თქვენ თავსაც ეცით პატივი, სრულიადაც ამდენი ტანჯვა არა საჭირო სიმართლის გასარკვევად მეთქა; თქვენს პირის წამიკენეთ პირისპირ, კუელაფური გამომდებარება თუ ის აღიარებს, რომ ჩემ ერთმანეთისთვის რაიმე ვეითქვამს ჩვენი ოჯახის ბოროტ განხრახვაზე იქცევის წინააღმდეგ მეთქა.

ამ სიტყვების გავონებისთანავე შერქანა, მარწეხი გაადაგდო და თავის უფროს ვაჟს გიორგის ცუბჩიანა, თავად პაატასთან წაიყვანე და ორივეს ერთად გამოქვეითხე, რა ლაპარაკი ჰქონდათ ერთომანეობი ჩემი მოკლის შესახებო. ამ-რიგათ ვამგზავნეს პაატასთან, მაგრამ გიორგი ბატონიშვილი არ ვამომყევა, რადგან ამ საქმეში ჩარევა არ სურდა; ამიტომ იგივე თავადიშვილები ვამყვნენ. როგორც კი პაატასთან შემიყვანეს, არავის ლაპარაკი არ დავაცალე, მაშინეუ ვეითხე, როდის იყო რომ ან თქვენ ჩეკვითან, ან ჩენ თქვენთან შეფის მეკლელობაზე ვევთქვას ჩამე მეთქი. მან მიპასუხა, ერთი ღმერთია მოწამე, რომ არც თქვენ, არც მე არავერი ვეითქვამს მის მკელელობაზეო. თუ ეს მდომებოდა, შეირჩად მქონდა ამის შემთხვევა, როცა ღმე ერთად გავითულევი კაზავშიო. მაგრამ ასეთი აზრი თავში არ მომსელია, არც თქვენ არაფერი გითქვამთ ამის

<sup>1</sup> ეს გორგი მუდამ ეყვანებოდა თეის მიხის, ღმერრის და კაცის განონი დამატებით და უსაბოროლოდ იტკეთ, ამიტომ ყველთვის უნდა გვშეინოდეს, ხოლო შენი სიყვალის შემცემა არა თუ ტანტა არ შევტკზება, შეიძლება თავშესაფრთვის ეტე გამოწიოთ. ეს ბატონი-შეილი ბეკას სკრინისტა, რომ ჩემთვის ხელა არ ეხლოთ, მაგრამ მის მიზა ზას არა თუ არ უარესება, სიძლვადითაც გვირთა მის სარი ხსიათისთვის.

ମେଘାଶ୍ଵର, ଶୁଣୁରା ନିରୀଳ, ରାମ ତ୍ରୈଗ୍ରେନ ମାମା ଅମ୍ବନ୍ଦିଲ୍ଲା, ତୁ ଗୋଟିଏବିନ୍ଦାରୁଣ, ପ୍ରଜ୍ଞାନୀ/ପ୍ରକିଳ୍ପି  
ଶ୍ରେଷ୍ଠାବ୍ସ୍ଥାନ୍ତରୀକରିତାରେ, ରାମେଲିଙ୍ଗ ମାନ ମନୋଧୂର୍ବାଳ. ଅମାଶ୍ରେ ହେଲ୍ମିନ୍ଦ୍ରିୟମୁଖ୍ୟକ୍ରେତାରେତ୍ତା  
ତାମାଦିଶ୍ରେଣୀଲ୍ଯୁବଦ୍ଧିତା ଉତ୍ସର୍ଗେ: ଯେ ଅରା ସିନ୍ଧୁରୀ, ଗୁମ୍ଭିନ ଶ୍ରୀଲ ଶ୍ରେଣୀତିରିଥିର୍ଭୟତ୍ତ ତା-  
ପାଦରମା ତେବେରୀମ ହୃଦୟରୁକ୍ତା: ଗୁମ୍ଭିନାପ୍ର ରା ପୁଣ୍ୟଲତ୍ତବୀ ଅମା ପ୍ରିମ୍ରାନ୍ଧୁର୍ବଦ୍ଧି, ବୋଲିନ ତୁ  
ପ୍ରାତିର ରାମ ପାଦିନାର୍ଜୁ, ମେଲାନାନ୍ଦ ମିଶ୍ରନାନ୍ଦ ରାମ ତାରି ପାତ୍ର ପା ଦାମ୍ଭା ମହାନ୍ଦିଗ୍ରାମ.

ამ საუბრის შემდეგ ხელაბლა წინანდელ ბინაზე წამიყვანეს და მცეკლები მომიუყენეს; კითხვით კი არაფერს მექიოჩებოდენ; მეფეს მოახსენეს, ვერაფერი აღმოფუძინეთ ისეთი, რომ ამილაზერების სიკვდილით დასჯვა გაამართლოს. პატიმრობაში ორი კვირა გავატარე, ამ სის განმავლობაში დახმცეს მეფის ბიძა და ბიძაშვილი, ხოლო თავადი თავაძექშვილი, თოხმოცი წლის მოხუცი, რომელ-  
მაც სოჭეა, მიკვირს, როგორ დაიცემეს ქართველებმა თავიათი უფლება და  
პატიმროვარებმა და დღიმდე ამ გამეცებულ ავაზე არ ძევებენ, დაწვეს;  
ამ უკანასკნელის ვაჟს ხელი მოსკრეს და თვალები დასთხოებს; მოკელეს აგრეთ-  
ვე ერთი ჩენი აზნაური, რომელმაც პირველად ჩენება მისცა მათი მოთხოვნა-  
სამებრ, ხოლო შემდეგ აღიარა, უსამართლოდ ვილაპარაკე ძალდატანების გა-  
მოო. ამავე დროს მიმაჩემი, როგორც წარჩინებული პირი, ქართული ადათის მი-  
ხედით სახახლებში იმუშავებოდა საპატიო პატიმრი, მაგრამ მე არ ვიკოდი რა  
მოუყიდა მას; მხოლოდ ყოველთვის მარტშრუნვებდნ, კუჭალიაო.

როცა ეისთ დახოცავაც სურდათ, დახოცეს, მღვდელი მომიგზავნეს აღსარების სათქმელად: მარტშრუნველენ შენც მოგვლაცენ. უნდოდათ ამ გზით მაინც გამოვტეხილიყავი, მიგრძი არაფერი ვიცოდი, რაში უნდა გამოვტეხილიყავი. ამის შემდეგ, მეფის ბრძანებით, კროი ვაჭრის ბინაზე გადამიყავნეს, საღაც ჩემი რა ექიმი შემოვიდა დიდი სამართებლით აღჭურებილი: მე კიდევ არ მეშმოდა რას მიპირებდენ. გამომიცხადეს, მარცხნა ფეხზე დიდი ძარღვა უნდა გადავიქრაოთ და ამასთანვე სახეც უნდა დავიმახინჯოთ. ტალანში დამსვეს და ყოველიყვე დაპირებული შემისრულებს. ჩემი მასპინძელი ვაჭარი ატირებულიყო და იმ თავადებისთვის ეთხოვა, ჩემს სახლში ნუ დალერით ამ კაბუკის სისხლს; ხოლო ამათ ეპასუხოთ, ყოველივე ვათავებულია, ახლა რაღაც ვეთხოვთ; ჩემს მასპინძელს ვერაფერი ვაღეო, რადგან მე დაყვირებაც ვერ მოვასწარი, კული წამივიდა. ჩემთან ერთად ერთს ჩემ თანმხელე თავადიშვილსაც წასვლოდა ვული, სხვებიც თურმე გულისტყივილით ამბობდნენ, ასე წვალებას ისევ ის სკომბა, მოგვეელათ. ამ ტანჯვის დროს ხელები შეკრული მექნიდა, გათავევის შემდეგ შემისწენეს, მხოლოდ პირი შემიხვის, ხოლო ფეხი წინდით. ყველას ეკონა, რომ მოვკედებული, ხოლო თუ ვიცოცხლებდი, სიარულს ვეღარ შეეძლებდი. როცა ეს მტარევალობა დასრულდა, ჩემთვის საგანგებოდ ვამშალებულ ლოგოზში ჩამიშვინეს და მეფესთან წაიგირნ მოსახსენებოდა.

მხოლოდ ისინი დაეტოვებიათ მამაჩემისთვის სამსახურის გასაშევად; მათაც დამიდასტურეს მამაშენი ცოცხალით, შემდეგ მწარედ იტირეს და მამაჩემთან წავიდენ ამბავის საუწყებლად.

ბოლოს მწარე ქვითინით ჩემთან მორბინა ჩემშა ითანემ, შემუშავებულისთვის გამიშვითოთ და გამოეშვათ, ვინაიდან მას ისე სასტიკად არ დარჩეობდენ. მაშინ უკვე ყოველიც მოთავებული იყო და ჩენი სამკიდროცა და ციხეგიც მათს ხელში იყო: იმ ღამეს, როცა ჩვენ თავს დაგვესხენ, საამილახვროში ჯარი გაგზავნეს და კოველიც დაეუფლენ; ჩემი ძმა ჩემთან დარჩა და მის ხელებს ისე შეეტევი, რომ მის ვარდა ორავის შეეძლო ჩემი ჭრილობების შეხვევა; ექიმს კი ჩემთან არ უშევებდენ. პირველ დღეს სიკედილის პირის ვიყავი და მართლაც ჩემი ჭრილობების სასიკედილო იყო. მაგრამ ღმერთმა ცოცხალი, ან უკეთ ვთვათ, ცოცხალ-მკედარი დამტკიცა.

მეორე დღეს ერთეულე მეფემ ერთი კაპუცინელი პატერი გამოშევანა, რომელიც დახელოვნებული იყო ექიმისაში, მაგრამ ვამომიგზავნა არა ჩემს მოსახრენად, არამედ იმის გასაგებად, კარგად მეონდა გადავრილი ფეხის ძარღვი თუ არა. ამ პატერმა ფეხი გამისინჯა, ძარღვების მდგომარეობა შეამოწმა და მეფემ შეატყობინა, არავითარი იმედი არ არის, რომ იცოცხლოს, ვინაიდან ფეხებში არც ერთი ძარღვი არ დაუტოვებიათ გადაუჭრელიო. და დაამ-შევიდა, მეფეის გაცარი გული, რომელიც ღვთის ხელში უნდა იყოს, მაშინ კი არ ვიცა, ვის ხელში იყო. ამრიგად მე უშეურნალოდ დამტროვეს.

ამის შემდეგ ერთმა ჩვენმა მსახურმა, სახელად თამაზშა, გამონახა ვიღაც დედაბერი, რომელიც საოცრად ჰქონდავდა უბრალო წამლებით; ორმოცი დღის გამშველობაში ისე გამაჯანსაღა, რომ ფეხში დაღომა შევდელი; მაგრამ ეს წამლობა ფარულად ხდებოდა ჩემი მეგობრების ოჯახში, სადაც დიდი მზრუნველობით შეპყრობდენ. ნახევარი წლის შემდეგ ირაკლიმ ვაიგო ჩემი გამომრთელების ამბავი, ჩემი მასპინძელი მიმწევია და პეითხა, მართლა დადის თუ არა? მას თავდაპირელებად არ უნდოდა გამოტენილიყო, მაგრამ დაშინდა და უთხრა, დადის ისევე, როგორც წინათ დადოოდათ. მეფეს ეს ამბავი დიდად ეწყინია. მაგრამ მტარვალობასაც საზღვარი აქვს და ის კაცი შინ გამოისტუმრა უვნებლად.

არ გასულა დიდი ხანი და მე და ჩემი ძმები მამაჩემთან მიგვიყვანეს, მცველები მოგვიყენეს და ხეთი წელიწადი პატიმრობაში გავვატარებინეს. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მწერასრულად განვიტადეთ. აქ წელმეტად მიმართინა ყოველიც ეს განსხვენება. ხეთი წლის შემდეგ მე შემთხვევა მომეცა განეთავისუფლებულიყვავი ამ ტუცეობისვან; ქალაქებში შევი კირი გაჩნდა და ვისაც შეეძლო სოფლად გაიხინა. ჩენ კი ტუილისში დაგვეტოვეს, ვინძლო ჭირმა დახოცოსო, მაგრამ ღმერთმა გვიხსნა და ყველანი გადაერჩიო.

ერთ დღეს მე და ჩემი ძმა ითანე ეფისკოპოსთან ვიყავით სტუმრად, ჩვენი ბინის მახლობლად, და ესაუბრობდით, რომ მოულოდნელად დიდი სროლის ხმა შემოვევესმა. ჩვენმა მასპინძელმა მსახური გაგზავნა ამბის გასაგებად. როცა მსახური დაბრუნდა, გვიამბო, ოქვენი დამბეზღებელი ახლად მოვლენილი ევანგელისტის სახლისთვის ცეკვლი წაუკიდიათ, მთელი ქალაქის მცხოვრებთ იქ მოუყრით თავი და თოვის სროლა აუტეხნითო. საქმე ისაა, რომ შევი კირი პირველად იმ სახლში გაჩერილიყო, ქართველებს კი საუკეთესო ღონისძიებად ამ

რაღაც მთელ ქალაქს შეიტო ვირი მოედო და ყველანი გაიზიზნენ, ჩემს ძმის  
იოანეს წინადადება მიეცი, ჩვენც გავიტეთ მეთქი. შავრამ მამას არაფერი გა-  
და მიღებული არა და არა და, არ გავიშებდა. დაუფარავად მიეცით ქალაქის  
კარიბესთან, სადაც წინააღმდეგობა კერ გავეიშიეს და გავიშევს; მაგრამ მა-  
შინვე ქალაქის მოურისებ შეატყობინეს. მას მტკიცელ პეტონდა ნაბრძანები ჩვენი  
ოჯახის წევრი არაენ გაეშვა ქალაქიდან, ეს ბრძანება განსაკუთრებით მე და  
მამაჩემს შევეხებოდა; ასც შეეხება ჩემს ძმის, მას ისე მეცაცად არ ეპყრი-  
შოდენ, და ჩვენი დარბევის შემდეგ იგი ერთხელ შევვ იყო იმერეთში. მოუ-  
რავმა მდევარი გამოვიყენა და უკან დავეძმრუნა. დაბრუნებისთანავე მამაჩე-  
თან მოეცით, მაგრამ მას არაუგრი გაუგია ამ აბძის შესახებ.

მეორე დღეს ჩემი ძმა ითანებ ხელახლა გვემზეორა; მას ცუნიც ჰყავდა და შეიარაღებულად იყო და არც იერძლული ქქონდა ქალაქიდან გასელა. მე მას კუთხარი, როგორც კი ტყილის თავს დაფარწედ, დაუყოვნებლივ უცხო ქვეყნებში გადავისწინები, რათა ვინმე მაინც ვადარჩეხს იმ ბორიტ ადამიანებს, რომელიც ყოველთვის ჩვენს მოვალეობას ფიქრობნ მითქმა.

თვით ერკელებ ჩევნი დარბავის შემდეგ ერთხელ ორი კარისყალი გამოუ-  
ყავთავნა, მამიჩემს შემოუთვალა: ჩევნი შორის ხილი ჩატყდა, შეუძლებელია  
მისი ხელახლა გადება; თუნდაც ჩევნ მოხუცნი შევრიგდეთ კიდევთ, ჩევნი შე-  
ლები ერთომანეოს წინააღმდეგ შურის იძიებენო; ამიტომ გირჩევთ, რომელიმე  
უჭხო ქვეყნაში გადაიხიზნოთ ჩიმს ხარჯზე.

ამ პასუხის შეღების შემდევ ირაკლიმ ხელიხლო შემოტვალა, რაფი არ მიღინარ, ჩემი ბრალი არ იყოს, თუ ვიზებმ მოგველა არცედარევის დროს, როცა სპარსეთიდან რაიმე მიზეზის გამო ჯარი შემოლის (მეუე ერეკლეს ყოველიც სახუროხე ელის სპარსეთიდან). მის საპასუხოდ გამამ შეუტვალა, ჩენი ერიდან მე არავითარ საფრთხეს არ ევლი, აქ თქვენს მეტს ჩემთვი არავის არავითარი საქმე არა აქვს, რაც შეეხება სპარსელებს, ამალი ამბავი არაა, რომ ისინი ხარკს ახორციელებნ თავიათი კანონებისა და ირათის ძალით.

ჩემი ძმის ითანეს წასელის შემდეგ მეც ვიპოვე შემთხვევად ტყითხამდან გაცხულიყავი, ისე რომ პრც მამაჩემისთვის მითქვეძის, არც ჩემი უფროსი მძისა-გიორგისთვის, რომელიც წინათ არ მიტჩევდენ წასელას, რადგან მძიმელი არ ჰქონდათ, რომ კოცხალი გადაუტჩებოდა; ორმაგი საფრთხე მეტადად, კუთხის ტკი-კების მხრით, რომელთაც ჩემი დაღუპვა შეეძლოთ ირაკლის საამებლად. მაგრამ ამ ხიდათის მიუხედვეთ ჩაინც გადაუტჩიობი ტყილისიდან გაცხულიყავი და ჩემი განზრახვა გავუნდე მხოლოდ ერთ ახლვაზრდა აზნაურს, სახელობ ბენიამინეს, რომელიც იმგამად მამაჩემს ემსახურებოდა. მთევეც ჩემი ნაბადი, ორი პური და კულის ნაცერი, როცა მთელ ჩემს საგზალს შეადგენდა და კუ-ბრძნები, ქალაქს გარეთ დამიცადე ადგილის დასანახავ ადგილის მეთქი. მწერერის ზარები დარევეს, როცა ქალაქის კარიბჭესთან მივედი. მცუელებს აზრათაც არ მოსელიათ, რომ ასე ვვინ შორ გზას გაუცდებოდი. ლაპარაკი ჩამოვადე შავ ჰირზე, რომელიც ქალაქში მძინარებდა. — ჩენი ცოდვების დასასჯელად ქსეც ცოტაათ, მიპასუხეს. სხვათა შორის ვიკითხე, კიდევ მუშაობს თუ არა კურ-პლეულობის ქარხანა, რომელიც ქალაქ გარეთაა, ცოტა რამ მინდა ვიყიდო მეთქი. მიპასუხეს, იქ მუშაობა არ შეწყვეტილა, ყველაფერის შოენა შეიძლებათ. ამის შემდეგ ქარხნისკენ გაესწიო, შავრმა იქვე ბენიამინესკენ გადაუსხევი, რომელიც შორისახლო მიყიდიდა; ნაბადი, პურები და საგზაო ფეხსაცმელი გამო-ვართვი, პურები და გვერდი და კიბეში ჩაეიდე, ბენიამინეს გამოვეთხოვე ტირი-ლით და ვთხოვე, მამაჩემი არ მიატოვო მეთქი. იგი ქალაქში შემჩნდა, მე კა ჩემს გზას გაუცდები. ცოტა ხნის შემდეგ მარტნივ გადაუსხევი, რათა დაბრულე-ბამდე მთას ამოეფარებოდი და არავის შევემინივ: შავი ჭირის შიშით ქალაქი-დან გახიზული მცხოვრებლები ახლო-მახლო ცხოვრობდენ კარვებში. როცა მიხლობელი გორაკი გადავიარე, ვიღაც კაცი დავინახე, პირუტყვა მწყვსდდა. მიუ-ნო, კინც ვიყავი, დამიწყო გამოყითხეა, რად გისარჯე და იქ რათ მოხველიო-მე ვუპასუხე, ქალაქში შავი ჭირი მძინარებებს, პური გაძვირდა, ხოლო რად-გან ჩენ, როგორც იყი, მოსამსახურე ცატა დაგვრჩა, იძულებული გაქცდი-თვით გამოვსულიყავი ქალაქიდან, აქ ჩემს მსახურს უნდა დავუცალო, მას წისქილზე პური მიაქვეს, მეშინია აზავინ წაართვას მეთქი. ჩემმა მოსაუბრებ ცრემლები ვერ შეიქავა, თავისი უბედურება გაასენდა; ცოლ-შეილი დახო-ცოდა შავი ჭირით, აღარაფერი აღარ შეჩრინოდა გარდა პირუტყვისა და თა-ვის დღებს ამ მინდოორში ატარებდა უზოლამხანაგოდ.

ამ ცხარე ცრემლებით მტრიალმა და საბრილო შესახედობის ადამიანმა, რომელიც ჩემი ამანავი იყო უპელესურებაში, მეც გული ამიჩურა და შეც ტრირ-ლით გამოვეთხოვე მას. თუმცა გზაზე ბევრი იდამიანი შემჩედა, მაგრამ აზავის ცნობა არ შეიძლებოდა წყვდიაღის გამო; ყველა სახითათ ადგილი გავიარე, ეფიქრობდი ამ ღამით აღარავინ შემაჩერებს მეთქი. მაგრამ, როცა კარგა მანძილი გაელი, ერთ დიდ მინდოორში გაევდი, რომელსაც ახლად ამოსული მთვარე ისე ანათებდა, რომ შორისან შეიძლებოდა აღამიანის გარჩევა. აქ გორაკითან შე-მაშინიეს გუშაგებმა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, იმისთვის იყვნენ და-ყენებული, რომ ქალაქიდან აზავინ ვაეშვით. დამიძახეს, ვინ მოღისო. შემდევ იქიდან ძირს დაეშვენ, თან თაბირობდენ, დავიჭიროთ თუ ჯერ გამოვარევით ვინ აზისო. მაგრამ ვერ მომიახლოვდენ შავი ჭირის შიშით, რადგან ხედავდენ.

ტფილისიდან მოვდიოდი. შორიდან უკ მიცნეს; რა გვაჩი ხარო, შეითქმის გვარი დავუმალე, უთხარი მოქალაქე ვარ, ტყილისიდან ზავ ჭირს გმოვაუკეცე, ზემო ქართლში მცირვეარ მეთქი. დამიჯერეს, მხოლოდ გამაფრთხელუში, უშემშე ლეკები დათარებოდენ, მათ იშეითად გადაურჩება ვამშე, ან მოკლესუები, ან ტლედ წევიყანენო; თუ მათ გადაურჩი, ზემო ქართლში სახლში არაენ შეგიშვებს, იქაც ეშინიათ გადამდები სენისო. მე გავიიტქრე, ოლონდ თქვენ გადავირჩებოდე, სხიისი აჩავისი მეშინია, თქვენ ჩემთვის ლეკებზე უარეს ხართ მეთქი. მათ კი ვუპასუხე:—ეიცი, ყოველ მხრივ საფრთხე მომელის, მაგრამ უკან უკრ დავიხედ, ვინძლო ღმერთმა ინგოს, გზა უკნებლად გავიარო და ვინმეტ შინ შემიშვას მეთქი. ამ ხერხით ის გუშაგები ისე მოვატულე, რომ თვითვე დამარიგეს, ღამით იარე ჩექარის ნაპიჯით, ხოლო ღლისით დაიმალე, რათა ლეკებშა არ შევამჩნიონ. მაღლობა უთხარი და გავშეორდი, მაგრამ რამდენიც არ ვეცადე მათი დარიგებისამებრ აჩეარებით მევლო, ვერ შეეცელი: ფეხების სისუსტის გამო ცული მოსიარულე ეყიფი და აჩუ ვიზუდილება მქონდა, რაღაც არასოდეს ამოდენა გზა ფეხით არ გამიღლია; ამის გარდა ქარი ამოგარდა და პირდაპირ სიხში მცემდა. საშინლად მომწუხურდა, მაგრამ ვერსად ახლომიხლო წყალი ვერ გიშოვე. მოელი მინდორი გავიარე და მდინარე შტკერის ნაპირს მიდაღები, მაგრამ ქვიანი და მაღალი ნაპირები დიდი ხეებით იყო დაბურული და წყლის ამოღება ძნელი იყო. ცოტა ზეეთ შეეცვი, ბილიკი აღმოვაჩინე, მდინარის პირის დავეზი და წყლის დალევა დავიპირე, რომ მარტენი ზის ქვეშ ადამიანი დაეკინახე, რომელსაც თათქმა ემინა. გადავჭროთ უსათუოდ ლეკია მეთქი; ჩვენები ვერ ბედაენ ასეთ აღვილის ღამის გათევის. პირველი ჩემი აზრი გაქცევა იყო, რადგან არავითარი იარაღი არ მქონდა გარდა ჯოხისა და მასთან შებმა არ შემეძლო. უკან-უკან წამოველი ზურგით, თვალი არ მომიშორებია, სანამ ღიდ გზაზე არ გამოვედი. იგი არ განძრეულა, ალბათ მართლაც ლეკი იყო მძიმედ დაჭრილი. ლეკებს ჩვეულებად აქვთ, რომ თავიანთ დატრილ ამხანაგებს მდინარის პირის სტროვებენ სასმელ-ხაჭმელით: თუ გამომრთელდა, თავის ამხანაგებს მოსძებნის დანიშნულ აღვილს, ხოლო თუ მოკედა, მხეცებისა და ფრინველების ლეკემა გახდება. დიდი გზაზე კარგა მოხრდილი მანძილი გაეიარე, მეორე ბილიკი აღმოვაჩინე მდინარისკენ მიმავალი, ნაპირისკენ დავეზი, წყალი დავლიე და ცოტათი დავისუენ. იმ ღამითვე მიეკავე მცხეთის მონასტერს, როთხ მიღის მანძილზე ტყილისიდან. ამ მონასტერში საქართველოს პატრიარქი ცხოვრობს.

მონასტერის პირდაპირ მდინარე შტკერიზე ხიდი იყო გადებული, თუ ამ ხიდზე გაეიდოდი, მოკედე გზით მიეკიდოდი იმ სოფელში, სადაც ჩემი იჯახი და ჩემი პატრია დები და ძები ცხოვრისდენ; მაგრამ მცემულების შეშით არ შემეძლო ხიდზე გამევლო. ამიტომ გეერდი აეუარე, გზიდან გადავუხვიე და ბუქებეში ჩაეწერე, რადგან უკე დიღის ცისკარი ახლოვდებოდა; მაგრამ როცა გამომეღვიძია, შევამჩნიე, რომ გზის პირის ვიწერე და ყოველ გამოლელ-გამოვლელ შეეძლო ჩემი ღანახვა.

მხე უხვად ანათებდა. წამოვდექი და დავიწეუ აღვილის ძებნა, სადაც შემეძლო დაღამებამცე დამალულიყვავი; მაგრამ სამალავის ძებნაში მოელი დღე ეიბრე და უკე შინდღებოდა, როცა სოფელს გომს მივაღწიე; შევ არ შეეცდი, მხოლოდ ყანაში ჩაეცუცელი და ცოტაოდენი ღანაყრების შემდეგ ჩაიძინე-გათენებისას იმ სოფელს მიეუახლოედი და რუზე პირი გაფიგრილე ანკარა

წელით. იდგა, უცხელესი თვე, როცა საქართველოში სიცხვა /42 გრა-  
დუს აღწევდა.

როცა კარგად ვათენდა, ხელახლა გზას დავადექი, მაგრამ შეკრულებულებია  
კაცა დამინახა; ყანას რწყავდა. — ეინ ხარ, საიდან მოდიხაჩუ/დამტერთა/ კუპა-  
სუხე, ტფილისიდან მოვდივარ შექი. დიდად გაუკირდა, როგორ ბედავ, რომ  
ქირიანი ქალაქიდან მოდიხარ და ჩვენს სოფელს გვერდს არ უქცევო; ფეხს აუჩ-  
ქარე, თორებ მცხოვრებლები გაიგებენ, გამოცვალებიან და თოვის სროლის  
ავტორებინ. მე დავუძახ, თუნდაც ბევრი მებატიოთ, სოფელში მაინც არ შე-  
მოვალ და ამ გზაზე სიარှლს კი ეკრავინ ამინდიალავს მეთქი.

მიედი სოფელ მეტებში, სადაც საპატიოიარქო აზნაურები ცხოვრობენ, მათ  
შორის ჩემი მეცნარი სოლომონი, რომლის იმედი მქონდა, ცხემს მითხვებს  
და ჩვენთა სოფლის სახლომდე მიმაცილებს მეთქი. მაგრამ შორიდანვე დაეინახ,  
რომ მეტებელებს არმოცამდე ურავი ბარგი-ბარხანით დაეტვირთათ და მეზო-  
ბელი სოფლისკენ მიღიოდენ. ეს რას ნიშნავს მეთქი, ვკითხე ვიღაც მწყესს —  
აქც კირ ვაჩნდა და იხიშნებიან.

რადგან არ მინდოდა ზემოსხენებულ აზნაურს გზაზე შეეხედროდი, ვადა-  
ვუხეი, მოლში ჩავჭერი და ლაპარაკი დავუწყე მწყემსებს, რომელთაც არ შეეძ-  
ლოთ ჩემი ცნობა. ურმების გატარების შემდევ წამოვდექი და მახლობელ სო-  
ფელში მივედი, რომელიც წინათ ჩენ გვეკუთვნოდა. მაგრამ როგორც კი იქა-  
ურისა მცხოვრებლებმა მეტების მხრიდან მიმავალი დამინახეს, საშინელი ღრიან-  
ელი ასტეხეს, და ჩემსკენ გამოიქცენ. მე გზიდან ვადავუხვიერ და სოფელს ვაკ-  
შორდი. ჩემს ვაძლევნებას თავი დაანებეს, მაგრამ თოვის სროლა ამიტეხეს,  
დინიდან შავი კირით დავადებული მეტების მცხოვრებია ვეგონე. სოფლის მო-  
შორებით ერთი დიდი არხის ნაპირას დავჯერი და ფიტჩებში წავედი: — რა ცე-  
ლებადია წუთისოფელი, როგორ ბერივ მდგომარეობაში ემსყიფები! გამსხურდა  
ბავშვობა, როცა ამ სოფელში ვამივლია დედმამასთან ერთად. რა სიხარულით  
ვეხედობოდნ მაშინ იქაური მცხოვრებლები, როგორ სცდილობდენ ჩვენთვის  
ესიამოვნებიათ, როგორ ეჯიბრებოდენ ერთმანეთს თავაზიანობაში! ჩვენც არ  
ეტოვებდით მათ დაუჯილდოვებლად. აზლა კი როგორ შემხედენ? მაგრამ მე  
მაინც თავი გავიმსხვევე, გულში კიდევ ხსნის იმედი ლეივოდა.

ცოტაოდენ დასხენების შემდევ შევიცადე როგორმე აზნე ვადავსული-  
ყვე. მისი სიგანე საკენს უდირიდა, სილრებ თხრას; მაგრამ წყალი შეი მხოლოდ  
შესლომდე აღწევდა. ჩაცოცადი, ვადავტომე, მაგრამ რადგან მეორე ნაპირას  
ატოტება გამიქირდა, ჯონით საფეხურები ვავიკეთ და ისე ავედი. მოელი დღე  
დიდ გზაზე ვიარე, აღარ გამსხენებია პირველი ლამის გუშაგების დარიგება. ვა-  
ვიარე ერთი ბავშვი საქონელს სცავდა, როგორც კი დამინახა, ვადაიხარხარა,  
ნელა იარე, არ წაიბორიდიოთ. მეც მწარედ ვამეცინა.

ამ სალამის ქალაქ ვორის მახლობელ სოფელში მივედი, იგი რიცხვით  
შეეტეს იყო მცხეთის მონასტრიდან. მინდოდა მტკვარში ვაგსულიყავი, ნა-  
ბირზე ჩამოვჯევი და ფეხსაცმელის გახდა დავიწყე. მეორე მხრიდან მდინარეს  
მშედარი მოადგა, რომელიც ქალაქიდან გომისულიყო. თუმცა წყალი წელამდე  
აღწევდა, მაგრამ ტალღების სიჩქარის ვამო ცხენს ძლიერ ვაუჭირდა გამოცურ-  
ვა. მაინც ვადავწვდომი წყალში შესულიყავი, რომ უცებ მოვიხედე და ორი

დაიდი ურემი დავინახე, ვიცანი, მეურმეები ჩვენი ნაცემეები იყვნენ, ეთერთ შეც დამსკით მეთქი. თავაზიანად ნება დამროს. ერთი ურემი პურით იყო დაცირ-თული და შეი თოხა ხარი ება, მეორეზე დავჯექი. შეა მდინარეს ჭრაში გურელ-წიფ, სწრაფმა და მძლავრმა ტალღებმა ჩვენი ურმები დარღუში უსტიშებულ-ია. ჩემთან მჯდომარე აღამიანები ცურვით გამოუდგენ ურმის ბორბლებსა თუ სხვა ნაწილებს, ამავე დროს მამხნევებდენ, ნუ გეშინია, ჩენც შენთან ვართო. წყალმა რამდენჯერმე კინაღამ წამაქცია, მაგრამ ბოლოს დაიდი გატირებით მეორე ნა-პირზე გავდიდ, ფეხსაცმელი ჩაეციდ, მეურმეებს მადლობა ცუთხარი და ვამო-ეცვილობები. ქალაქშიც შემიყვანდენ, მაგრამ რადგან იქ მრავალი წარმინებუ-ლი პირი ცხოვრობდა, არ მინდოდა მათთან ერთად შევსულიყავი ურმით. გზაზე ერთი ამაღლებული ადგილია, იქიდან მთელი ქალაქი ვორა სჩანს. გულისტავი-ლით ცუცქეროდი ამ ქალაქს, გამახსნდა ჩვენი წინანდელი იქ ყოფნა და დროს ტარება. მერე პირი ვიბრუნე, მინდოდა იმ ღამეს ერენს სახლში მიესულიყავი, სადაც ჩემი უმცროსი დები და მშება მეცულებოდენ. ვორიდან ჩენ სოფულამდე მხოლოდ სამი მილია, მაგრამ რადგან გზა კარგად არ ვიცოდი, დავიძნი ღამის წყალიდში. ხელახლა ქალაქ ვორისკენ გავბრუნდი, ერთი აჩხის პირას დავ-ჯექი, ცოტათ დავნაყრდი და დავიძინ.

გათენებისთანავე დიდ გზას დავადექი და, თუმცა მევრი არასასიმოვნო ქართველი კაცი შემხვდა, მაგრამ უცნებლად თავი დავაღწიო მათ კითხვებსა. ამრიგად ტფილისიდან ჩენს სახლამდე გზას თოხა დღე მოვანდომე; შინ ჩემი პატარა დაძმანი დამხედუნ, ისნი მე არ მინახავს ჩვენი დარბევის შემდეგ. ასლა არ შემიძლია აეწერო, როგორ შეეტირეთ ერთმანეთს, აღამიანი სრულიად განძარცეული უნდა ყოფილიყო გრძნობისგან, რომ ჩენი უბალრუკი და სა-მარცხენო მდგომარეობა დაენახა და ცრემლები არ დაეღვარა.

როცა ტირილს მოვრჩით, ჩემი უფროსი ძმის იოანეს ამბავი ვიკითხე, იგი ჩემზე ადრე გამოიკიდა ტფილისიდან. მიოხერეს, ზემო ქართლში წაეციდა იქაურ აზნაურებს შორის ხორბლის შესავროვებლად, რადგან მეურ არავითარ ხარჯს არ გვაძლევს და მამულებიც ჩამოვეკრთვა. მაშინვე მასთან წასულა გაღავწივი-რე: სიარულისგან საშინალო დალლილი ვიყავი, ფეხებზე ფრჩილები მომძრია, სახეზე ქარისა და სიცხისგან კინი დამისქდა, მაგრამ რადგან არავინ მყავდა. რომ მისთვის ჩემი ტფილისიდან თავის დაღწევის და უცხოეოში გასამგზავრებ-ლად მშალების ამბავი მეუწევებია, იმ ღამეს ეს გზას გაუუდექი.

თან წაეციდან ჩემი უმცროსი ძმა ნიკოლოზი და ვორისკენ დავბრუნდი. მთელი ღამე ვიარეთ, ხოლო დილით მიედი ერთ ნათესავთან, რომელიც ამ ქა-ლაქის მახლობლად ცხოვრობდა მიუარებულ ადგილს (სადაც ხშირად ლეკები მოდიან ზემოსხენებული ქალაქიდან აღამიანისა და პირუტყვის გასატაცებლად). მე იქ დავრჩი, ხოლო ჩემი ძმა ქალაქ ცხინვალში გავვზავნე ჩემი ძმის იოანეს მოსაძენად და ჩემთან მოსაყვანად, მათს ლოდინში მთელი დღე და ღამე გავა-ტარე.

მეორე დღეს ნაშუადღევს მოვიდა ჩემი ძმა იოანე, რომელიც დიდად გაკ-ვირებული და გახარებული იყო, რომ მე თავი დავაღწიო ტფილისიდან. ერთმა-ნეთს გადაეცევით, შემდეგ ორივენი მის ცხენზე შევავექით და იმ სოფულისკენ გავემგზავრეთ, სადაც უმცროსი ძმა გველოდა ერთ აზნაურ, სახელად ბარამ-თან ერთად, რომელსაც კიდევ სხვა ცხენი ჰყავდა სანოვაგით. იქ ვივახშემეთ და

იმ ღამეს ევ ამ სანოვაგით ჩევენს სახლში დაცმრუნდით. მაგრამ იქ დირექტორის არ დატერმინილვართ, ზემო ქართლისკენვე წაევდით ქალაქ ცხინვალში, რომელიც შორის არაა იმერეთის სამეფოდან. იმედი გვქონდა, რომ იქ დახმეტების-ცეცილებდით იმერეთის მეფის სოლომონისგან.

ცხინვალიდან ზემოხსენებული ბარამი ტუილისში გავგზავნეთ, რათა იქ ბენიძინე შეეცვალა მამაჩემისა და ჩემის ძმის სამსახურში. ამ უკანასკნელს ჩენითან ერთად უნდოდა უცხო ქვეყანაში გაქცევა. იგი ტუილისიდან მოვიდა და გვიაშპო, რომ როცა თურმე ჩემი გაბარევა გაიგეს, მდევარი გამომიყენეს და დამეწერდნენ კადეც, თუ თეთო ბენიძინეს არ შეეშალა. მამაჩემს ქალაქის მოურავისთვის შეეფალა, ჩემი შეილა გაიქცა და რაღვენ მეშინია, რომ ლეკებმა არ მოაქლან ან არ დაიკირონ, გთხოვთ უკან დააბრუნოთ. ქალაქის მოურავს მეფისგან ნაბრძანენ ჰქონდა მეატრად დაეცეცავი და ამიტომ დიდი გულმოდგრება გამოიჩინა და მაშინევ მდევრები გამოუყენებია, რათა უკან დაცემრუნებინეთ. მაშინ ბენიძინეს მათთვის გზაცალის ასანევად ეთქვა, ქალაქის მახლობელ ბალებში ეძებეთ, იქ აპირებდა დამალებით. შორს წასელა ზედმეტაც არის და სახიცათოც მოთარეშე ლეკების გამოო, დაცევერებიათ და მოთლი ღამე ბალებში ვეძებნეთ, მხოლოდ დილით დაბრუნებულიყენენ უკან ხელცარიელნი. ამჩინებდ გადატრინ ზენიძინეს წყალმოთ.

ამასობაში ქართლში რაღაც საქმების გამო მოვიდა იმერეთის მეფე, სოლომონი, ჩენ მას ვეახელით და დახმარება ვთხოვეთ. გულმოწყალედ მიგვიღო და გვითხრა: მეცე ერკელის ორჯერ ვთხოვე თქვენთვის მამული დაებრუნებია, მან აღმითქვა, მაგრამ თავისი აღთქმა არ შეასრულა; ახლა თუ გნებავთ ჩემს სამეფოში გადავიცვანთ და დროინდით სოფლებს მოვცემთ, ხოლო თუ ეს არ გსურთ, სადაც გინდათ, იქით გავისტუმრებთო. ამისთვის დიდი მაღლობა შევწირეთ და ვთხოვეთ, კეთილ ინებეთ და სპარსეთის იმპერიაში გავციშვით, რათა იქ დახმარება და მფარველობა მიერთოთ ერკელე მეფის წინააღმდეგ-თვით. მართლა იმეამად სპარსეთში ნამდგილი ხელმწიფე კი არა, მხოლოდ მისი ვაჟილი იყო, მაგრამ ამბობდენ, რომ იქ წინადებურიად ნამდვილი შაპის არჩევას ამირებენ; ამიტომ ჩენ იმედი მოგვეცა, რომ ჩენი სამეციდრო დაგვიძრუნდებოდა, ვინაიდან შაპის შეუძლია არა მარტო ჩენი ქონება დაგვიძრუნოს, არამედ ჩენი დამრბეცელიც დატუქსოს ჩენი უდანაშაულოდ შეურაცხყოფის-თვის.

ამჩინებდ ჩენ იმერეთის მეფესთან სოლომონთან ერთად იმერეთში გადავედით, იქიდან მან ჩერქეზთ ბატონთან გავეისტუმრა, თან წერილიც გაგვატანა; რომ რუსეთის საზღვრამდე გავეცილებინეთ. იქაც წერილები მისწერა მოზღოვების და ყიზლიარის კომენდანტებს, მათაც სოხოვა, თავისუფლად გაუშეით რუსეთის იმპერიაშით. ერთი სიტყვით, ჩენ თავი დავიღწიეთ ჩემს ამწიოებელს და საშმა ძმაშ არი მსაზურითური ყველა ჩენი საზღვრები გადავიარეთ უკნებლად.

მიცასწიეთ ჩერქეზთ ბატონის საბაზოს, მაგრამ იგი შინ არ დაგვეცდა; გვითხრეს რუსეთის ქალაქს ყიზლარში წაეიდა საჭირო საჭმის გამოო. მაგრამ მისმა შეუღლებ კარგად მიგვიღო, სამი ღლე და ღმე თავის სახლში გაგვიჩერა, ხოლო შემდეგ მოზღოვეს კომენდანტმაც კარგად მიგვიღო იმერეთის მეფის მოწერილობის წყალობით, შემდეგ მან ყიზლარში გაგვისტუმრა.

ყიზლარში მისცლისთანავე ვინახულეთ ზემოსხენებული ჩერქეზთ ჭატონი, რომელმაც ფრეთვე კარგად მიგვიღო იმავე იმერეთის მეფის წერილის წყალობით და ჩემს ძმას ითანეს სამი ცხენი მისცის და მსპეციალური გარდა მისია გზის მაჩვენებელიც უშორე დარტბინდამდე, ვინაიდან რჩაშე სპარსეთში პირებდა წასკლას. ჩემს შესახებ კი კომენდანტს სთხოვა, უკნებლად მიიყვანეთ ასტრახანამდიო. ყიზლარში თხუთმეტი დღე დატრით, ძნელი იყო ჩევნოვის ძმის ვაშორება, ესოდენ დაშორებულ და სხევადასხვანის ქვეყნებში ცხოვრება, მაგრამ მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა: ჩენენ ერთმანეთს გამოვეთხვეთ, ჩემი ძმა სპარსეთისკენ წავიდა, ხოლო ჩენ რუსეთისკენ. ბევრი ცრემლი დაგვალვრევინა ჩენმა ულმობელმა ფორტუნამ, რომელმაც ასე გაგვდანტა. ხუთი დღის შემდეგ მოვედიოთ ასტრახანში და ის იყო კოლგაზე გადმოვიარეთდა გუბერნატორის სახლისკენ გაევმართოთ, რომ შენ შეგვეცით. დიდად ბედნიერად უნდა ჩავთვალოთ ჩენი თავი, რომ ისეთს აღამიანებს შეგვეცით, რომელთაც გულთბილი დახმარება აღმოვვიჩნეთ, ჩენი ისტორია მოისმინეთ და მონაწილეობას ღებულობათ ჩენს უბედურებაში.

ამრიგად, ჩემო კეთილისმყოფელი, მე თქვენ გიმბეთ ჩემი უბედური თავ-გადასავალი, გავაცანით ჩემი ქვეყნის აღრინდელი და ახლანდელი ვითარება და გვეტყით, რომ თავს გავსწირავდი ჩემი სამშობლოსთვის, თუ იყო კეთილდღეობაში ყოფილიყო, მაგრამ ახლანდელი მისი მფლობელი, ჩენი იჩაკლი; მას არა თუ არ იცავს, პირიქით აწინვებს. არ დატრინილა თითქმის არც ურთი კეთილშობილი აღამანი, რომელიც მისი ბოროტების მსხვერპლი არ გამხდარიყოს, გარდა მისი თანაგანმხრახველებისა, მაგრამ არც უკანასკნელთ წყალობს ხანგრძლივად: როგორც კი შეატყობს, რომ ისინი გამჭიდრდებ მის მიერვე დაკანონებული მძარცეველობის შემწეობით, მათაც არბეეს და მათ აღვილის სხევებს იჩჩეეს თავისი ანგარებიანი სურეილების გასახორციელებლად. ასე ატარებს თავის მეტობას. ხოლო თავისი ქვეყანა ისეთს სიღარაფეში ჩააგდო, რომ უსახელოვანესი ერთ უბერავეს მდგომარეობაში იმყოფება, საქართველოს სამეფო კი დღეს უბრალო სამთავროდაც კი ვერ ჩაითვლება, რომაც მთელი იქ დაბანაკებული რუსის ჯარი დაამოწმებს გენერალიდან დაწყებული ჯარისკაცამდე. სამწუხაროა მხოლოდ, რომ რუსებს ჩენი ქვეყანა არ უნახავთ ამ მისი დამრბეველის გამეფებამდე: დიდ განსხვავებას აღმოაჩენდენ მის წინანდელ და დღევანდელ მდგომარეობას შორის და შეიბრალებდენ სახელმგან ერს, დამხობილს მისიერთანამემამულების მიერ მაგრამ ჩემი ახლანდელი ბერავი მდგომარეობის მიუხედავად თავის თავს ბედნიერად ვთვლი და ზენაარს მაღლობას ვწირავ, რომ ჩემი მტრისავან მისნა და ისეთს სახელმწიფოში მომიყენა, სადაც დედოფალი მეფობს, ვითარება ნამდვილი დედა გულმოწყალე, მზრუნველი და მფარველი თავისი ქვეშეერდომების; ამ ბრძნული მმართველობის ქვეშ სახელმწიფო წყვავის და მაღლება ნეტრა მშეიღობიანობაში, საზოგადოება და კამაყოფილებულია, ხოლო თვით დედოფლის სახელის ქება ცამდე აღწეეს; მხოვანი მის მიერ უზრუნველყოფილი არიან, ყმანი გამხიარულებული, თბოლნი გამოზრდილნი, ქერივნი შენახული, მხედარი გამნენებულნი, ხოლო წინააღმდეგომნი მის ფერზე ქვეშ გართმეულნი; მისი მარჯვენა გაწვდილია იმათ საშეელად, გინც მისი უდიდებულესობის მფარეველობას ეძიებს, ვითარება ზეციდან მოვლენილ ხსნას აღამიანთა ტომის განსაცდელში.

აშ მეც მის ფერხთ ქვეშ ვვარდები და ვიმელოვნებ, რომ ურულად მომენ  
თქვენი დედოფალი მოწყალებას მოიღებს და ჩემზეც განაერცომენ „უაფას დე-  
დობრივ მსრუნველობას, თავის მფარველობას არ მომაჟღვის „უაშროებებს  
მთხოვნელს და თავის პორფირმოსილ ხელს გამომიწვდის, რათა ლირსეულად  
კეშასურო, როგორც უკანასკნელმა ქვეშევრდომმა მის სახელმწიფოში და  
რათა საკუთარი სისხლით ავანახლაურო მის სამეცნიეროში ცხოვრების ბედ-  
ნიერება“.

ამის შემდეგ ორი თვე გიდევ ერთად ქალაქ ასტრახანში დაერჩით, ხოლო  
შემდეგ სატახტო ქალაქ მოსკოვში გავემგზავრეთ 1771 წელს დეკემბრის 21;  
ამ დღემდე მე თქვენ სრულად გიამბეთ ზემოხსენებული თავადი ალექსანდრე  
ამილახვარი-გვირგიანელის თავვადასავალი.

თარგმნილი პიროვნები მიმოიძის მექ

კოსტა ხეთაგურიშვილი: „ჩინული ლიპსიები და პოეზია“  
ჩამოւალებულია „ზოდისაცია“

საქართველოს საბჭოთა მწერლების გამომცემლობა „ფედერაცია“ დროულად გამოიხმაურა ოსთა თანამედროვე ლიტერატურის ფუძემდებლისა და ღილი სახლში პოეტის კოსტა ხეთაგუროვის საიუბილეო თარიღს და ერთ წიგნად გამოსცა მისი ჩინული ლექსები და პოემები.

კოსტა ხეთაგუროვს განსაკუთრებული ადგილი უკავია ოსურ ლიტერატურაში და მან პირველმა აატრიალა თავის ხალხში ნაციონალურ-გამათვისუფლებელი მოძრაობის დროში. ჩერნიშევსკისა და ღობროლუბოვის მოწინავე იდეებით შეიარაღებული პოეტი თავისი ლექსებითა და პოემებით ვნას უკაფად რევოლუციური მოძრაობის განვითარებას ასთა შორის.

ხალხის დაბალი ფრინვიდან გამოსულ მწერალს კარგად ესმოდა ხალხის გაყიდვება და მისი კირვარამი, იგი გახდა ხალხის გულისმესაიდუმლე პოეტი. ამით აისწება კოსტას სახელისა და ლექსების დიდი პოპულარობა ოსეთის ხალხში. მრავალი მისი ლექსი ზეპირად იცოდა და იცის ხალხშა და იმღერის მას ბრძოლისა და კოლექტური მუშაობის დროს. ცნობილია, რომ ოს ხალხი 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში კოსტას ლექსების სიმღერით მიღიოდა მტერზე იქრიშის დროს.

კოსტა ხეთაგუროვის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვეობა შეპნევლი რაიგცის განუსაზღვრელ პარაზისა და თეოთ-მყრინობელობის გაძლიერებულ კოლონიურ პოლიტიკას ნაცუმიტირებებს შორის. ერთის მხრივ, მემამულეთა ექსპლოატაციის მძიმე მარწუხები და, შეორეს მხრივ, თვითმმკრთმადებლობის დიდ და პატარა მოხელეთა თვითნებობა, ძალდატანება, ნაციონალური ჩავერა, მექანიზმეობა ქწინდა ცხოვრების ყოვლად აუტანელ და დუხვირ პირობებს.

პოეტი კარგად ხედავდა ხალხის ასეთ მძიმე მღვიმეარეობას და მოელი თავისი არსებით იცავდა მის შელახულ უფლებებს, თავისი შემოტევდებით განედულად ესარჩეობოდა ყეველა დევნილსა და დაჩაგრულს. მისი რევოლუციური ლექსები და პოემები ხელს უწყობდა კლასობრივი ბრძოლის დღეებისა და შეენების გაღვიცებას ისეთის მშრომელთა შორის. პოეტის ლექსმა ლერმონტოვის უდროოდ დალუპვაზე, რომელიც კოსტა ხეთაგუროვმა დასწერა ლერმონტოვის ძეგლის განსინისას, მიიქცია თავის დროშე რსეთის პროგრესიული საზოგადოების დიდი უზრადლება. მან ბრალი დასცვა თვითმმკრთმადებლობას პოეტის უდროოდ დალუპვაზი და ას მიმართავს:

„ფრთხებს ლაღად გაშლის შენი ფიქრი დღემდე მაღული,  
თავისუფლების სანატრელი მახარობელი.“

მაყრიშ ეს მისი რეცოლუციური ლექსი უყურადღებოდ არ უარის არც თვითმკრიობელობას. ამ ლექსის დაწერის თარიღიდან იწყება ცოდნის დაწერა, დაპატიმრება და გადასახლება. ჩემირესიებმა ვერ აღმოფხვრეს პრეტეზე საღის სიყვარული და თავდაცება და ის ბოლომდე დარჩია ამ წარმოების გარეულების მეზნებარე მებრძოლად.

სარეცენზიონ ლექსთა კრებული შეიცავს ძამდე ლექსს და ექს პოემას. ლექსები და პოემები თარგმნილია ქართველი პოეტების: ი. გრიშაშვილის, ს. შანშაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ვ. გაფრინძეშვილის, ვ. გორგაძის, ქ. ბობონიძის, ს. თავაძის, შ. აფხაძის, დ. გამებელაძის, დ. კასრაძის, იასამანის, ს. ეულის, ხ. გარდოშვილის, მარიჯანის, მარიკა მიქელაძის, მ. მრევლიშვილის, შ. პატარიძის, ი. ჭედლიშვილის, ი. ყირიანის, ი. სიხარულიძისა და ს. ფაშალიშვილის მიერ.

ლექსები თარგმნილია მაღალი ოსტატობითა და საქმის დიდი სიყვარულით, თუმცა აქა-იქ იგრძნობა ზოგიერთი თარგმნის სირთულე და სიძრელე.

ამ წიგნით ქართველი პოეტები თვეიანთ ვალს იხდიან მოძმე ისეთის ლიტერატურის წინაშე და აცნობენ ქართველ მეითხველებს ოსეთის უდიდესი პოეტის შემოქმედებას.



ი. ზურაბიშვილი: „ვანო სახაჭიშვილი“ (პოლიტიკი) გამოცემაში ითვლია „ტიტონია და ურიეა“

პორტუგალია და მონფრაფიული ნაწერებით ღარიბ ჩვენს ლიტერატურის სარეკონზო გამოცემის სახით ერთი ძეგლების წიგნი შეემატა. ის დაწერილია ეკუალური ღარის დიდ ხელოვანისა და შემოქმედის ვანო სარაჯიშვილის შესახებ, მი მხრივ ეს წიგნი ნაწილობრივად აკებს ჩვენი ლიტერატურის დიდს ხარევეს და მისი გამოცემა ყოველმხრივ მისასამართებელია.

ამერიკა წიგნის ვეტოს ივანე ზურაბიშვილს მიზნად დაუსახადს ამ უდი-  
ლესი ქართველი მომღერლის პორტრეტის მოცემი. ქართული ლიტერატურა  
თუმცა მარტო ამ პორტრეტით ერთ მოიხდის თავის ვალს ვანო სარავებიშვილის  
შემოქმედებისადმი. ჯერ კიდევ ბევრი მომოქანაკობრეტერი უნდა დაი-  
წეროს, რომ ლიტერატული შეფასდეს ვანო სარავებიშვილის დიდი ამავე და კი-  
დევ უფრო დიდი მღიდარი შემკვიდრეობა ვოკალური ხელოვნების დაწესები.

საქეცნიერო შრომა ამ მხრიց გამჭვილად და უკპელად გმირითობული  
ცდაა, იგი დღით სიყვარულითა და ერტყლიცითა დაწერილი. მას წამძლვაზებუ-  
ლი იქნა ალ. სიკუს შესავალი წერილი, რომელიც შეიცავს სარჯო შეილის  
საქმით არყოფნის ბიოგრაფიას.

თევით პორტუგალი ძალიან შორიდან იწყება. ეფტორი თავდაპირულად არ კვეთს ხმის აღვილს და მნიშვნელობას სახელონი მეცნიერების დარგში, ატარებს ზოგიერთ პარალელებს ხელოვნების სხვადასხვა დარჯებს შორის, და საკრავებთან შედარებით სამართლიანად ანიჭებს უპირატესობას ხმის, აღამიან-ში გრძნობის აღძერისა და მასზე ემოციური გავლენის მხრივ. ეფტორი ამ და-ბულების დასასახულებლად შორეულ ექსკურსს აკონტა, მთლიად ზომიერებას ეკრ იცავს და ხშირად საერთოდ და ზოგადად მსჯელობს ხელოვნებისა და ხელოვანთა შესახებ, რაც ჩვენის აზრით დიდად საჭირო არ იყო განსა-პორტუგალის გამოსაკვთად. სწორედ ამ მიზეზით უნდა ითხოვოს, რომ შედარებე-ბისა და ანალოგიების დროს ზოგჯერ ნაწარმოების მთავარი სავანი დარჩი-ლულია, ყოველ შემთხვევაში ეს მთავარი სავანი არ იგზანობა ისე, როგორც საჭიროა. რასაკეიირველია, საჭირო იყო იმ წრისა და ეპოქის გარემოულობის მოხაზვა, რომელშიაც ხელოვანს უსდებობდა მუშაობა, მაგრამ ნაწარმოების მთავარ სავანთან მეტი მცირებო კუნძულით და არი ერთობ შორეული და სავა-ნთან დაცილებული ექსკურსებით. გარდაცვლილ მსოფლიო ტენირების ხელ-ახალი შეფასება, მათი ხმისა და თამაშის შესახებ ზოგადი მსჯელობა საჩეცენ-ზიო წიგნს რამდენიმედ ამზიდებს.

ავტორი მსჯელობს განი სარიცხიშვილის პირველ გამოსკლის დაღ შეა-  
ძექდილებაზე და ანგითარებს აფრიკოვანებულ მაყურებლების მიმართ, ბრძოს  
ფილოსოფიას, რაც არც სიმართლეა და არც შესწყინვარებელი. მასმართივი მო-

წონება ყოველთვის არ შეიძლება გათანაბრებულ იქმნას მატერი ფრთხოთან და ამის საფუძველზე მსჯელობა იმაზე, რომ „ბრბო თეატრზიც და ქუჩაშიც ბრბოა, თუ იგი ორგანიზებულად არ არის გამოსული“, ყოველმა უცხადებარებელია. ხალხი, მაყურებელთა მისა, როდესაც კეშარიტი შეკლასტის უჭიარებელით აფრთხოეანდება, ამას კრიტიკოსმა და პორტრეტის ავტორმა სულ სხვანაირი ანგარიში უნდა გაუწიონ და არა ის ამტკიცენ, რომ „სეთ სტრიქონში თვით მეაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობაც უნდებურად ტალღის საერთო დენას მისდევს და თავის სახეს კარგავს“. აქ, რბილად რომ ესთქვათ, ეფიქტობოთ საქმე გვაქეს უხეირო გამოთქმასთან, თუმცა სხვა აღვილს მას თვით ავტორი უარყოფს, როდესაც ამტკიცებს: „ვანო ხალხის თვალში, უფრო კი გულში, ხელოფანის სიავვარგის საზომად გადაქცეულაო“. ამ შემთხვევაში ხალხი ბრბო არ არის და მისი გემოვნება მაღალ და მისაღებ კატეგორიაშია მოქმედება.

მიუხედავად ზოგიერთი წერილმანი ნაკლისა, წიგნში კარგადაა შეფასებული ვანო სარაჯუშეილის დიდი ნიჭი, მისი თავისებურება, დამსახურება ქართული მუსიკის საკუთარი სახის გამოჩენაში. ვანო ამ მხრივ იშეიათი ისტატიკულობა.

ამ წიგნის გამოცემა უდიკელად მისასალმებელია. ის ამ დარგში ჩვენი ლარიბი ლიტერატურის მნიშვნელოვან შემატებად უნდა ჩაითვალოს. წიგნი პატარა ფორმატისა და ტექნიკურად კარგადაა გაფორმებული.

## შ 0 6 1 6 6 8 0

მშვიდობიანობის საბჭოთა პოლიტიკის გამარჯვება.	33- 3
<b>მხატვრული ლიტერატურა</b>	
კომიტანტინე გამხახურდა — ბელალი . . . . .	7
იაკინთე ლიხაშვილი — ძახილი მთაში. . . . .	55
ფრ. შილლერი — იბიკოსის წეროები (ლექსი — თარგმ. ხ. ეარდოშვილის)	90
შე და — სიყვარულის ფილოსოფია (ლექსი — თარგმ. ალ. საჯაიძის) . . . . .	94
მარიამ გარიბული — ერთი ღამის ამბავი . . . . .	95
ლავრენტი ჭიქინაძე — მეფე დესპანი . . . . .	106
<b>კ რ ი ტ ი ტ</b>	
შალვა რადიანი — გომრგი ლეონიძის შემოქმედება . . . . .	112
<b>წარსელიდან</b>	
ალ. ამილახვარი — გეორგიანული ისტორია (თარგმ. გერონტი ქიქოძის მიერ) . . . . .	125
<b>გიგანტიზაცია</b>	
გ. მებუკი — კოსტა ხეთაგურიოვი: „რჩეული ლექსები და პოემები“ . . . . .	157
გ. მ. — ი. ზურაბიშვილი: „ვანო სარაჯიშვილი“ . . . . .	159

ԳԱՅՈ 2 856. 50 ՃՃ.



ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



ԵԺԵՄԵՍЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„MINATOBIS“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ